

წერილი

კონსტანტინოპოლის პატრიარქ კიპრიანესი,
იერუსალიმის პატრიარქ ქრისანტოსისადმი,
რომლითაც აცნობებს უნგროვლახეთის მიტრო-
პოლიტის ტახტზე ანთიმოზის აღსაყდრებას -
1708 წლის 10 თებერვალი¹

კიპრიანე წყალობათა კონსტანტინეპოლისა და ახლისა რომისა მთავარეპის-
კოპოსი და მსოფლიო პატრიარქი,

თქვენო უნეტარესობავ, ყოვლად უსამღვდელოესობავ და ყოვლად ბრძენო
წმინდა ქალაქ იერუსალიმისა და სრულიად პალესტინის პატრიარქო ხრისანტ, ჩვენი
სიმდაბლის სულიწმიდისმიერო ძმაო და თანამწირველო, მოგესალმებით და ძმურად
გეამბორებით და ვევედრებით ყოვლადძლიერ ღმერთს, რომ დაგიცვას ყოველგვარი
მზაკვრობისაგან და გვიბოძოს კეთილი შეხვედრა.

მივიღეთ შენი მეგობრული და ძმური წერილი და განვიხარეთ შენი
ჯანმრთელად ყოფნის გამო. ვწუხვართ უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტი მეუფე
თეოდოსის გარდაცვალების გამო, დაე ღმერთმა განაწესოს ის წმინდა
მღვდელმთავრებთან ერთად, ხოლო შენს უნეტარესობას უბოძოს მრავალჟამიერი და
ბედნიერი სიცოცხლე. მისმა ყოვლადბრწყინვალეობამ და ღვთისმოშიშმა მთავარმა
[კონსტანტინემ] უფრო ვრცლად მოგვწერა ჩვენ ცხონებული მეუფის გარდაცვალებისა
და უნგროვლახეთის ახალი მიტროპოლიტის არჩევის შესახებ.

მაშასადამე, ჩვენი საჭეთმპყრობელობის ქვეშ მყოფი ქრისტეს დიდებული ეკლესიის კანონების შესაბამისად აღვასრულეთ ყველა აუცილებელი წესი, მივეცით კურთხევა ჩვენს თანამოძმე ყოვლადუსამღვდელოეს მღვდელმთავრებს და აღასრულეს ჩვენს საპატრიარქო ეკლესიასა შინა ყველა აუცილებელი კანონიკური წესი, რის შემდეგაც დავწერეთ გადაყვანისა და აღსაყდრების თაობაზე წერილები და გავუგზავნეთ ისინი ყოვლადბრწყინვალე მთავარს [კონსტანტინეს]²; მაშასადამე, გატყობინებთ, რომ ველოდებით აქ თქვენს ჩამოხრძანებას, როგორც წერთ თქვენ ამას თქვენს წერილში. და ღმერთმა ქნას დაგხვდეთ და გიხილოთ ჯანმრთელი და ერთად განვიხაროთ სულითა და ხორცით.

1708, 10 თებერვალი.

ქრისტესმიერი კონსტანტინეპოლელი კიპრიანე³.

კომენტარები:

¹ Hurmuzaki, Documente grecești privitoare la istoria românilor, N. Iorga (ed.), vol. XIV, 1, Librăriile Socec, București, 1915, pp. 629-630, nota la documentul DCIX. //“Scrisoarea1 patriarhului Ciprian al Constantinopolului către patriarhul Hrisant Notara al Ierusalimului, în care-l anunță de numirea lui Antim pe tronul mitropoliei Ungrovlahiei – 1708, 10 februarie” ტექსტი ითარგმნა კრებულიდან- Scrisori / Sfântul Antim Ivireanu ; lucrare publicată cu binecuvântarea Preafericitului Părinte Daniel, Patriarhul Bisericii Ortodoxe Române ; ed. îngrijită de Arhimandrit Mihail Stanciu și acad. Gabriel Ștrempel. - București : Basilica, 2016. გვ.63-65.

² აქ იგულისხმება კონსტანტინეპოლის საპატრიარქო.

³ როგორც ჩანს, გაგზავნილი იყო რამდენიმე წერილი ან წერილის ასლი, ჩვენამდე დღემდე მოღწეულია ერთადერთი ტექსტი. რომელიც დაცულია ხურმუზაკის კოლექციაში-Colecția Hurmuzaki-. ეს კოლექცია ეკუთვნის 17-19 საუკუნეებში ბუკოვინაში მცხოვრებ ბერძნული წარმომავლობის ცნობილ რუმინელ დიდგვაროვანთა ოჯახს. მათი სასახლე მდებარეობდა ავსტრიის ბუკოვინაში მდებარეს ჩერნოვიცში (დღევანელი უკრაინის ტერიტორია). 1999 წელს სასახლე მუზეუმად

გადაკეთდა. მუზეუმის უმდიდრესი კოლექციის საცავებში განთავსებულია არა ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი. ეს წერილი, როგორც სხვა დოკუმენტები ნაწილი, ანთიმის ცნობილი მკვლევარის ნიკოლაი იორგას რედაქციით დაიბეჭდა.